

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 4

ქ.ვანი თავისუფლების N65

10 მარტი 2021 წელი

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, თამთა დვალიშვილი, შოთა გიორგაძე, გელა ვარდოსანიძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: გია ოჩხიკიძე, კობა მაგნიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირები:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**.

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მომხს: ივანე მამფორია

2. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენა.

მომხს: ივანე მამფორია

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა განმატა, რომ ბიუჯეტში დაგეგმილია შემდეგი სახის ცვლილებები:

1. სოფლის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 06) ასიგნება იზრდება 13,5 ათასი ლარით, პროექტების თანადაფინანსების მიზნით.
2. მუნიციპალიტეტის მერიის (პროგრამული კოდი 01 01 02) ასიგნება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით მცირდება 13,5 ათასი ლარით.
3. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების (პროგრამული კოდი 02 01) ასიგნება იზრდება 6,4 ათასი ლარით (შპს ბესტ ტრანსის N 114 17.06.2020 შეწყვეტილ ხელშეკრულებაზე ს.ს სადაზღვეო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის მიერ საბანკო გარანტიის საფუძველზე საავანსო თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით)
4. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების (პროგრამული კოდი 02 05) ასიგნება იზრდება 11,1 ათასი ლარით (შპს ზადუს N77 30.04.2020 შეწყვეტილ ხელშეკრულებაზე ს.ს სადაზღვეო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის მიერ საბანკო გარანტიის საფუძველზე საავანსო თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით).

ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 10692,9 ათასი ლარით, გადასახდელები 11993,4 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1300,5 ლარის რედაქციით:

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

წარმოდგენილი საკითხი გატანილი იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2019 წლის 25 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N27 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 10311,9 ათასი ლარით. 2020 წლის განმავლობაში ბიუჯეტში ექვსჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 15624,8 ათასი ლარის, გადასახდელები 16948,9 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1324,1 ათასი ლარის მოცულობით.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

დაადგინეს:

კომისიამ წარმოდგენილი საკითხი მიიღო ცნობის სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე